№ 242 ნოემბერი 17, ხუთშაბათი 1888 ნოემბერი 17, ხუთშაბათი № 242

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას აფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხილდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ ნოემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 2 მ. 75 კ.

კვირას, 20 ნოემბერს

ტფილისის კლუბში გამართული იქმნება ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

**კონცერტი.**

მიიღებენ მონაწილეობას: ქქ. ზარუდნაია, ბიჩურინა, იოზეფოვიჩი; ბბ. ტარტაკოვი, მედვედევი, გ. ყორღანოვი, ოპოჩინინი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისი, 16 ნოემბერი

ქ. ქუთაისის შიგ შუა გულში, რიონის მარცხენა ნაპირზე, აგერ ორმოციოდე წელიწადია გაშენებულია ბაღი, რომელსაც შეცდომით ჰქვიან „ბულვარი“ (ბულვარი ფრანგული სიტყვაა და ჰნიშნავს ქუჩაზე ჩაყოლებულს ხეივანს, და არა ბაღს). ეს ბაღი სწორი ოთხკუთხედია, შეიცავს ერთს ქცევაზე ცოტათი მეტს მიწას და შიგ სხვა-და-სხვა გვარი ხეებია. როცა ამ ბაღს აშენებდნენ, ჩაურიათ იმისთანა სხვა-და-სხვა გვარი ხე, რომელიც მაღლე იზრდება და ადრეც ჰკვდება, როგორც მაგალითებრ ალვის ხე, აკაციისა და სხვები. ზოგი ხე გამოსალმებია ამ წუთი-სოფელს და ზოგიც სრულიად მიღრწნილია, მაგრამ ჭადრის ხეები და ცაცხვები გამაგრებულან და თანდათან ასაკში მოდიან.

ამ ბოლოს დრომდე ბულვარი დიდს უპატიურობაში იყო. უბრალო ხიმეებით იყო შემოკავებული, შიგნით გაუწმენდელი და მოუწყობელი, მაგრამ მოჰხედა ღმერთმა და ბულვარსაც გამოუდარდა. ქალაქის გამგეობამ დიდის ხნის ძილის შემდეგ, როგორც იქნა, გამოიღვიძა, მიითვშვნიტ-მოითვშვნიტა თვალები, გაიზმორა, გაიწოდინა და თვალში პირველად ბულვარი ეჩხირა, რადგან ქალაქის საბჭო ქორივით დასჩერებია სწორედ ამ ბულვარს. შეუდგნენ ბულვარის გეთებასა და გალამაზებას. პირველი საქმე იყო იმის საგადრისად შემოკავება და შეაკავეს კიდეც ლამაზის თლილის ქვის სვეტებით და რკინის მოაჯირით, გარედგან. ამ მოაჯირის ირგვლივ, მიწაზე დაჰფინეს ქვა ქვეითად მოსიარულეთათვის. შიგ ბაღში გააკეთეს სკამები, შედგეს წყლების სავაჭრო „ბუდკები“, გზებს მოაყარეს წითელი ხვირიშიანი მიწა, ერთის სიტყვით, მორთეს და გააკოპწიავეს.

რაც დაწესებულებაა ან გამოჩენილი სავაჭრო სახლები, ყველა ბულვარს ეხურხლება გარშემო: გუბერნიის სამმართველო, ქალაქის სამსაჯულო, სანოტარიო კანტორები, ქალაქის საბჭო, საურთიერთო ნდობის ბანკი, ტაძარი, მთავარ-ანგელოზის ეკკლესია, საუკეთესო სავაჭრო მაღაზიები და სხვ.

ეს არის მიზეზი, თუ სხვა რამე, ბულვარი ქალაქის ცენტრად შეიქმნა და, გინდა, თუ არ გინდა, იმას ვერ ასცილდები. ბულვარი თავად-აზნაურთა დღის კლუბია, ებრაელთა და ვაჭრების ბირჟაა, გასაოხოვარ და გათხოვილ ქალების გამოსაფენი მოედანია. როგორც ჰხედავთ, ამ ჩვენს პატარა ბულვარს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ერთის სიტყვით, ქუთაისს უბულვაროდ ძლიერ გაუჭირდება და უიმისოდ ვერც-კი წარმოგვიდგენია ქუთათურები. ამისდა მიუხედავად, ბულვარს დიდი განსაცდელი მოელის; როგორც მოგეხსენებათ ბაღის შუაგულში ამართულია პავილიონი და განსაცდელიც ეს არის. საკვირველი ისაა, რომ ეს განსაცდელი ბულვარს და ქუთაისს მიაყენა სწორედ იმ გაცმა, რომლისაც ქუთაისს ბევრი სიკეთე ახსოვდა და კვლავაც მოელოდა. თავისს საყვარელს შვილს რომ დედ-მამამ კისერში დანა გაუტაროს, იმასა ჰგავს ეს ამბავი. ვისაც-კი უნახავს და დაუვლია ერთხელ მაინც ქუთაისი, ძალიან გაოცდება, როცა შეიტყობს, რომ პავილიონი აუგიათ ბულვარში და არა სახელმწიფო სახლის ნაადგილევზე, რადგან ის ადგილი თვით ბუნებას დაუნიშნავს იმ საგნისათვის, რომლისათვისაც ააგეს პავილიონი. ეს ადგილი არის ზედ რიონზე გადამგარი, შემოზღუდულია ას წლოვან ძელქვის ხეებით, პირის-პირ ფერმისა და კავკავის ქედისა. ერთის სიტყვით, მშვენივრად მოკაზმული და საგანგებოდ მოწყობილია თვით ბუნებისაგან. ამას გარდა ეს ადგილი ქალაქისა არის და ქალაქს არ ასცილდება იქ სახლის გამართვა. მერე რა იყო მიზეზი, რომ ამ ადგილს ასცილდა პავილიონი და ბულვარი-კი დამახინჯდა? ფარული რამ მიზეზი თუ იყო, არ ვიცი, მაგრამ აშკარად, საქვეყნოდ გამოცხადებული მიზეზი *)-კი სულ უსაფუძვლო იყო.

ასეა თუ ისე, შუა-გულ ბულვარში ააგეს პავილიონი და რამდენადაც თვით პავილიონია მშვენიერი და ლამაზი, იმდენად ბულვარია დაუშნოებული. წინად რომ ბულვარში შეხვიდოდით, კიდიდგან კიდემდე ყველაფერს ჰხედავდით, თვალს არაფერი ეხიწვოდა, ეხლა-კი თითქო გუგუ ჩამოეფარება თვალზედ და გვიშლის თვალის იერსა. მაგრამ უმთავრესი ზარალი ბულვარისათვის ეს როდია, არამედ სხვა.

*) ამბობდნენ, ვითომ იქ არ მოხერხდება წესიერების დაცვაო.

ქალაქი ისე მდიდარი არ არის, რომ ცალკიერი და გამოუყენებელი დასტოვოს პავილიონი, რომელსაც 12,000 მანათამდე დაახარჯა. ასეც რომ არ იყოს, რიგიც არ არის გაცმა თავისი ქონება არ გამოიყენოს. ეხლა ვიკითხოთ, თუ რა მოელის ბულვარს. ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქუთაისი როგორც ბაქო, ისე განთქმულია თავისის გამუდმებულის ცეცხლით. ღვთის წინაშე, უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლოს დროს-კი ცეცხლმა ცოტათი იკლო, მაგრამ, ვგონებთ, დრომდე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბაქოში თვით ბუნებას უკისრნია ცეცხლის გაჩენა და გაჩადება, ქუთაისში-კი ბუნებას ადამიანი ეწევა. მერე რაო? ისაო, ჩემო ბატონებო, რომ როცა პავილიონში რამე, ან ვინმე მოთავსდება, უცაბედად და ცუდის განზრახვით, ან კიდევ კეთილის განზრახვით (!) შესაძლოა პავილიონს ცეცხლი გაუჩნდეს. ვთქვათ დავაზღვევეთ. კეთილი, მაგრამ ამ ორმოც-და-ათ წლოვან ხეებს რა ვუყოთ? მე ხომ არ ვამბობ, უსათუოდ გაჩნდება ცეცხლითქო; მე მხოლოდ აზრათ წარმოვიდგინე ცეცხლი და შიშის ძრწოლამ ამიტანა. მართლა რომ იქ ცეცხლი გაჩნდეს, როგორ უნდა შეიყვანონ ბულვარში ცეცხლის საქრობი მაშინა. ადვილია ეს თუ არა? ეხლა პავილიონსა ჰყავს ორი მეტ ნაკლებად

## ფელეტონი

### ჟორჟ-დე-პარი

შინაგანი ყოველ გვარი ბიწიერება და უშვერება, გარეგანის სიწმინდითა და მშვენიერებით დაფარული, დღეს ჩვენში უმეტესობის მცნებად არის გადაქცეული! მედიდური გაუკითხაობა მისი, ვისაც ჩვენ ვეჭირვებით, და მონური სულ-მდაბლობა და მლიქვნელობა იმის წინ, ვინც ჩვენ გვეჭირვება, ცხოვრების კანონია მოქალაქობისა. ამას თვალ-და-თვალ გვიმტკიცებს ამ დღეებში მომხდარი ამბავი: ერთს ვენელ ვაჭარს მანის ემართა ქალაქელ ვაჭრის თაიროვის ფულები. დროზე ვერ გადაუხადა. მოასწრო თაიროვმა, ადვოკატის პლიუშჩევსკის შემწეობით გააბა ბადეში და მარჯვეთ დაუჭირა ქეჩო. ბევრი იფართხალა საბრალო მსხვერპლმა და რომ ველარა გააწყო-რა, თავი მოიკლა. იყივლა საშინელის ყივილით პრესსამ, აჰყვნენ მამლები, აშფოთდნენ მყეფრები და შეიძრა მთელი ქალაქი—სჩანს, რომ მოჩვენებული ნათელი, ფორკატის ელექტრონი, დილის რიჟრაჟად მიიღეს და ის ველარ მოისაზრეს, რომ წამს იქით ელექტრონი ისევ ჩაქრებოდა და არე-მარეს ისევ ბნელი—უკუნი დაედებოდა; უმეტესობა ისევ ძილს მისცემდა თავს და უკულმართობაც ჩვეულებრივად იმ ბნელში ინავარდებდა! ბ-ნი მანი სწორედ ღირსი იყო იმ პატივისა, რომლითაც ჩვენ ის გავასვენეთო, იძახიან ალტაცებით და მათის სიტყვების დასამტკიცებლად ზედ ამატებენ: „დიდი პატივის-მცემელი იყო და შემწე აქაურის ვაჭრებისა, როცა ისინი საზღვარ-გარეთ მიდიოდნენო! თვითონ მის მოსისხლე თაიროვსაც დიდი ღვაწლი დასდვაო!..“ კეთილი! მაგრამ ბევრი არა ყოფილა ახლანდელ დროში საჭირო კაცისთვის, რომ ქვეყანა გააკვირვოს!.. ამას შემდეგ ისიც-კი შეიძლება, რომ ვინც გველ-ბაყაყებს უვლის და მოიელებს სიკვდილს გადაარჩენს, შესანიშნავ და სადიდებელ კაცად ჩაითვალოს. შესაძლებელია, თითქმის ეჭვიც არ არის, რომ განსვენებული მანი კარგი კაცი ყოფილა, მაგრამ არც ისეთი გამოჩენილის ღირსებისა, რომ ქვეყანა გაეკვირვებინა. ცხადია, აქ სულ სხვა რამ მიზეზია ქალაქელების აშფოთებისა!.. თაიროვის გულ-ქვაობა და გაუკითხაობა გაუკვირდათ? რა ბძანებაა!.. განა უმეტესობა სულ თაიროვები არ არიან?.. ცოტანი შენატრიან თაიროვის ბედს? ვინ იცის რამდენს ჰშურს კიდეც მისი კეთილდღეობა?.. განა მშობლები თავის პაწაწა შვილებს ლოცვა-კურთხევის დროს არ ჩასძახიან ყურში: შვილო, ღმერთმა თაიროვისთანა გამოგიყვანოს და მისი ბედი მოგცესო!? მაშ ვისღა რად გაუკვირდებოდა თაიროვობა?.. პლიუშჩევსკის ხრიკები და ხერხიანობა ხომ არ აშფოთებსთ, როგორც უჩვეულო რამ?.. ვის უნახავს ადვოკატი წმინდათა თანა შესარიცხი? განა უმეტესობა სულ პლიუშჩევსკები არ არიან... განსხვავება მხოლოდ მოხერხებაშია, თორემ სულით, გულით, ფიქრით და გრძნობით ვინ არ არის თაიროვიცა და პლიუშჩევსკიც? მაშ რაღა მარტო ისინი ამოულიათ მიზანში?!. უთუოდ აქაც სხვა რამე ანგარიშშია!.. არა, აქ შესაძრწუნებელი ის იყო, რომ კაცს თავი მოაკვლევინესო! იტყვიან და ხომ ესეც სიტყვის რახა-რუხია? ან აქ რა არის ასაშფოთებელი? ცოტას აკვლევინებენ თავს ამ გვარად ჩვენში? აბა ერთი გაისეირნეთ შაბათობით სამსჯავროების მახლობლად და აუქციონებს დაუგდეთ ყური, „ხტო ბოლშე“ რომ იძახიან! რამდენის ქვრივ-ოხრისა და გაჭირვებულის აღსასრულის დღე დგება ხოლმე... რა შედეგი მოჰყვება ხოლმე იმ აუქციონებს: შიმშილი, სიცივე, ჯავრი, ტანჯვა და ბევრი კიდევ რამ იმ გვარი, რომლისაგანაც ყოველ გვარი უბედურება და ბოროტება წარმოსდგება ხოლმე. მთელი ჩვენი მხარე ამ ცეცხლში არ არის ჩაგდებული, ცოტანი კვდებიან?.. და ნუ თუ ამას სულ ერთი თაიროვი სჩადის და სხვები-კი მოციქულები არიან.

ძალ-დატანებითი სიკვდილი ჩვენში ყოველ დღიური მოვლინებაა და მაშ რაღა მარტო ეს ერთი მანის სიკვდილი გაიკვირვეს? იმიტომ-რომ საზოგადოდ საიდუმლოდ, ჩუმად, გამოუაშკარებლად იღუპებიან თაიროვების მსხვერპლები. იქ ჩაიბუჯღნის თუ არა ჯიბეში ქვრივ-ოხრისა და საწყლის სისხლითა და ცრემლით შეღებულ ასიგნაციებს, გულში ამბობს: ასი, გნაცი ვსთქვი და წავიდა ჩემი საქმე კარგადაო; ჩემს ბრძანებას, ჩემს სიტყვას გასავალი აქვსო. იმ ფულით კიდევ თავსაც იჩენს, ვინ რას შეუტყობს? მაგრამ აქ-კი გამოაშკარავდა. რევოლვერმა „უჰუ!“ დაიძახა, დაიგრიალა ფოლორც ადგილზე სასტუმროში და დაფარვა ალარ მოხერხდა, თორემ ჩუმად, საიდუმლოდ, გაჭირვებითა და ტანჯვით რომ სადმე მომკვდარიყო მანი, მაშინ ჩვენც ალარ აეშფოთდებოდით ფარისევლობით და ეგებ კიდევ მიგველოცნა თაიროვისთვის გამარჯვება. მართლა რომ სასაცილოა. მხოლოდ იმ განზრახვით, რომ გარეგანის სიწმინდითა და ფარისევლობით თავი იჩინონ, ათასი თაიროვი ერთს თაიროვს ჰგმობს და ასი პლიუშჩევსკი ერთს პლიუშჩევსკისა ჰკიცხავს. აი შედა თხემის ადგილზე ვილაც მჭევრმეტყველი და აღელვებული ელაპარაკება ხალხს. ხალხიც გრძნობაში მოდის და „კეცე! კეცეო!“ უძახის. მე, როგორც ქართველს, მგონია თუ პატიოსნურ და ლაზათიან სიტყვებზე ელაპარაკებიან: ყოჩაღ, რომ ეგ კარგი აზრები ჩვენ წინ კეცა-კეცით დაალაგეო. მაგრამ თურმე ნუ იტყვით მათებურად ურა ყოფილა. კეთილი, მოსაწონია ამ გვარი თქმაცა და მოწონებაც, თუ მართლა გულ-წრფელობითაა. მაგრამ ვაი, რომ მორჩებიან თუ არა ამ თვალ-საჩინო ლიტანიას, მთქმელიცა და გამგონენიც ბოქაულებს (პრისტავებს) მიაშურებენ საყვედურით: „ტორგი რად დაგვიანეო“. მართალი უთქვამს პოეტს: ამ ქვეყნად „სულ-ბნელია, რაცა ელავსო“. მაშ პატიოსნური და ჭეშმარიტი აღარა არის-რაო, ეგება იკითხოს ვინმემ. როგორ თუ არა! აი ეხლაც გაიხედეთ განზე! ხომ ჰხედავთ იქ ვილაც გლახაკსავით შემოსილს, გულ-ხელ დაკრეფილი რომ მწუხარებით შეჰყურებს ამ ამბავს. ის გახლავსთ „ჟორჟ-დე-პარი“. მაგან თავისი ერთის კვირის საზრდო, მანეთი, გადაჰხურა მიცვალებულს: მე მისგან შემწეობა მახსოვსო და ჩემგანაც აენთოს სანთელიო. აი სად არის ჭეშმარიტება და გარეგნობით შინაგნობის დაუფარაობა. დიახ, თვალ-ცრემლიანი ჟორჟ-დე-პარი გულ-წრფელად ჰგლოვობს მიცვალებულს და ფარისევლებს რომ უყურებს, გულში ასე იმღერის:

ხან მცივა და ხან მცხელა,
ყოველთვის-კი მშიანო;
ქუჩა-ქუჩა დავდივარ,
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

—

სხვებსავით ცუდ-კაცობას
ჩემზე ვერ იტყვიანო;
რომ მხედავთ, სულ ესა ვარ,
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

—

ძლიერი მუშტარი. ერთი კლუბი და მეორეც ქართულის სცენის მოყვარეთა საზოგადოება, ანუ ეგრეთ წოდებული ქუთაისის ქართული დრამატიული დასი. ამ ორისავე დაწესებულებისათვის შესაძლოა მოეწყოს და გადაკეთდეს პავილიონი; ამასაც ცოტა ხარჯი დასჭირდება, სულ სამას-ოთხასი თუმანი. კლუბს მეტი ნივთიერი საშუალება აქვს, მეორეს-კი უფრო ზნეობრივი ძალა არის. ყველას გული ამ საზოგადოებისაკენაა ამ ორის დაწესებულების მოთავსება პავილიონში, მეტადრე მეორისა, ყოვლად წარმოუდგენელია ცეცხლის შიშის გამო. ამიტომ ყველა გონიერი კაცი, ვისაც-კი შესტკივა გული ქუთაისისა და ბულვარისათვის, იმ აზრის არის, რომ პავილიონი გადატანილ იქმნას ბულვარიდგან, თუ უნდათ პავილიონის გამოყენება და ბულვარის დაცვა და გალამაზება. მცოდნე კაცები ამბობენ, რომ პავილიონის გადატანა და იმ ნაირივე დადგმა ქალაქს დაუჯდება არა უმეტეს ოთხასის თუმნისაო. თუ პავილიონი გადაიტანეს იქ, სადაც წინად ხელმწიფის სახლი იყო, მაშინ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქალაქი არამც თუ ამ დანახარჯს აიღებს, არამედ ბევრად მეტს, თუ წარმოდგენები, კონცერტები და ბალები გაიმართება. თუ წინანდელს დანახარჯს, ესე იგი იმ თორმეტი ათას მანეთს ვიანგარიშებთ, მაშინ საეჭვოა დანახარჯზე ათი პროცენტი შემოვიდეს, მაგრამ ცოტაოდენი რომ ვიზარალოთ, არა უშავს-რა. ან რომელი ქალაქი გადარჩა ისე, რომ ყველა საქმიდგან უზარალოდ გამოვიდეს.

არის კიდევ მეორე აზრიც, ვითომ—და უფრო სახეირო. აი ეს აზრიც: დავანგრიოთ პავილიონი და როგორც მასალა, ისე გამოვიყენოთ ქალაქის საბჭოს შენობისათვისაო, ქალაქს აქვს ორი კარგი მამული; ერთი, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, სახელმწიფო სახლის ნაადგილევია და მეორეც ტაძრის პირდაპირ. ამ მეორე მამულზე ეხლა არის ერთ-სართულიანი ქვითკირის შენობა. შეიძლებაო, ამბობენ მცოდნე კაცები, რომ ორივე ამ მასალისაგან აიგოს ჩინებული სადგომი ქალაქის საბჭოსათვის და ეს დაჯდება არა უმეტეს ხუთას-ექვსასის თუმნისა. ეხლა ქალაქი საბჭოსადგომისათვის იხდის წლიურად ას თუმანს, ასე რომ იმ ახალის შენობის აგება ათასი თუმანიც რომ დაჯდეს, ქალაქი მაინც წაგებაში არ იქნება. ამას თუ კიდევ იმას დავსძენთ, რომ ქალაქი ეხლა ინახავს პირველ დაწყებით სკოლას, რომელიც შეიძლება ქვედა სართულში მოთავსდეს, მაშინ ქალაქს შეუძლიან თამამად ათას ექვსასი თუმანიც დახარჯოს და კარგი რამ გაკეთდეს. ეს ფული ქალაქმა უნდა ისესხოს ბანკიდგან და წლიურის ქირით გაისტუმროს ვალიო. რომელი აზრი გაიმარჯვებს და რომელს დაადგება ქალაქი, ამას შემდეგში ვნახავთ, ხოლო ცხადია, რომ პავილიონი ბულვარიდგან უსათუოდ უნდა გადაიტანონ, თუ უნდათ იმისი გამოყენება.

ბესიკი

ქუთაისი

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალს, თავ. ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, მილოცვის დეპეშა მიუწერია მისის უდიდებულესობისათვის ხელმწიფე იმპერატრიცისათვის. ამ დეპეშაზე მისს უდიდებულესობას შემდეგი დეპეშა გამოუგზავნია:

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალს თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის.

„გულითად გმადლობთ, თქვენ, თავადო, და ქართველ თავად-აზნაურობას, მილოცვისათვის. დიდის სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, რომელიც ჩვენ კავკასიაში გავატარეთ.

მარია“.

მოგვყავს თავად ივ. ბაგრატიონ მუხრანსკის დეპეშაც:

„პეტერბურგი. მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას.

„ვბედავ და თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფეხთა წინაშე მოგიძღვნით ქართველის თავად-აზნაურობის სახელით და ჩემის მხრით უქვეშევრდომილესს მილოცვას დაბადების დღეს თქვენის უდიდებულესობისას. თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ ცხადლივ ახსოვს თავისს შორის თქვენის უდიდებულესობის ყოფნა და აღფრთოვანებულია გულითადის კეთილის გრძნობით თქვენის უდიდებულესობისა და თქვენის უავგუსტოესის სახლობისადმი. თავად-აზნაურობა ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა იმ საშინელის ამბისაგან, რომელიც თქვენ შეგემთხვათ, როცა კავკასიიდგან წაბრძანდით. მადლობას ვუძღვნით უზენაესს, რომ სასწაულებრივ დაგიფარათ განსაცდელისაგან.

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი“.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნს მ. მაჩაბელს, ხელქვეითს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წარმომადგენლისას, ამ ახლო ხანებში გაგზავნიან ზაქათალის მაზრაში საადგილ-მამულო საქმეთა გამოსაკვლევად.

*** გორის ღვთის-მშობლის ეკკლესიის სომეხთა მღვდელი ტერ-ედიშე ტერ-სააკოვისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„ვინაიდგან ჯერ იყო, ნება-რთვა მივიღე გორის საპყრობილეში წიგნთ-საცავი გავმართო საზოგადოდ ყველა პატიმართათვის, ამიტომ მივმართავ ყველა ღვთის მოყვარე კაცთა და უმორჩილესად ვსთხოვ, ნუ დაიშურებენ და შემწეობა გაუწიონ ამ კეთილს საქმეს მცირედის შემოწირულებით ფულითაცა და წიგნებითაც. წიგნები უნდა იყოს სამღვთო საკეთილ-ზნეობო შინაარსისა—რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენებზე. ფული და წიგნები ამ ადრესით შეიძლება გამოგზავნონ: ქ. გორს, მღვდელს ტერ-ედიშე ტერ-სააკოვს“.

რა თქმა უნდა, რომ მამა ტერ-ედიშეს ფრიად კეთილი საქმე განუზრახავს და კიდეც შეუსრულებია. იმედიც არის, რომ საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს პატივცემულის მღვდლის თხოვნასა და ხელს გაუწვდენს პატიმართა. კარგი იქნება სხვა საპყრობილეთა მღვდლებმაც მიჰბაძონ მამა ტერ-ედიშეს.

*** რამდენჯერ ყოფილა დაბეჭდილი გაზეთებში, რომ მუღანლოელი თათრები მოსვენებას არ აძლევენ გარშემო მცხოვრებლებს, სძარცვავენ, ჰკლენ და სრულიად ანადგურებენო. ამ ამბავს წლიდგან წლამდე სჩივიან; იმ თათრებმა მრავალი კაცი იმსხვერპლეს, მრავალი ქონება სხვებისა დაისაკუთრეს და გაიოხრეს, მაგრამ იმათს ავაზაკობას ბოლო არ მოეღო. ისე კვირა არ გაივლის, რომ მუღანლოელებმა ვინმე არ გაძარცონ და ან არ მოჰკლან. ნუ თუ მუღანლოელები სოფლად ისე შეძლებულნი არიან, რომ იმათს თავ-გასულობასა და ავაზაკობას ბოლო ვერ მოუღეს. ამ დღეებშიაც, როგორც გაზეთი „Тиф. Листокъ“-სა სწერენ, 7-ს ნოემბერს, ნაშუადღევის სამს საათზე, ვაზიანის მახლობლად ექვსი და შვიდი მუღანლოელი თათარი თავს დასხმია აქციზის მოხელეს აბრამოვსა და მეფურგუნეებს. ავაზაკებს სულ ერთიანად წაულიათ ფული, ტანისამოსი და ნივთი და საქონელი, რაც-კი ხელს მოხვედრიათ. დავლის წასაღებად ფოსტის ცხენი წაურთმევიათ «იამშჩიკისათვის». აბრამოვი თითქმის სრულიად გაუშიშვლებიათ, მარტო საცვალში დაუტოვებიათ, თუმცა იმ დღეს ძლიერ ჰყინავდა. სხვათა შორის აბრამოვისათვის წაურთმევიათ ოქროს საათი 85 მანეთისა. ხსენებული გაზეთი ამბობს, რომ მუღანლოს გარშემო მცხოვრებნი ისე შეწუხებულნი არიან მუღანლოს თათრებისაგან, ავაზაკობა ისე ხშირია, რომ საჭიროაო ან ეგზეკუცია ჩაუყენონ იმ თათრებს და ან სრულიად გადაასახლონ მუღანლოდგანაო.

# რუსეთი

რუსეთის გაზეთებს ჯერ კიდევ არ შეუწყვეტიათ ბაასი და ლაპარაკი იმ 17 ოქტომბრის უბედურების შესახებ, რომელიც სამეფო მატარებელს დაემართა. ეხლა უკვე მოინელეს კიდეც გენერალ-ადიუტანტის პოსიეტის სამსახურიდგან დათხოვნა. გაზეთი „Новости“ ამბობს: ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თითონ პოსიეტმა თავისით განიზრახა სამსახურიდგან გადადგომა, გულმა ურჩია. ჩვენ, რასაკვირველია, ადმირალს პოსიეტს არ ვაბრალებთ და არ ვამიზეზებთ 17 ოქტომბრის უბედურებას, ხოლო ისკი ეჭვს გარეშეა, რომ ამ ტრაგიკულის ამბის ზნეობრივი პასუხის-მგებელი გზათა უწყების სამინისტროა და სხვა არავინ. ყოველს შემთხვევაში როგორც სახელმწიფო სარგებლობა, ისე ამ უბედურების წესიერად დაფასება ჰთხოულობს, რომ სამინისტროს მეთაურად ახალი კაცი იდგესო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი. თუ გზათა უწყების სამინისტრო უბრალოა ამ საქმეში, ამას ყველაზედ უფრო უკეთ ახალი მინისტრი დაამტკიცებსო.

აქვე მოვიყვანთ 17 ოქტომბრის უბედურებაზედ გამოძიების მიერ გამორკვეულს ცნობას. აქამდე ჯერ გა-

---

რა გამოვა, სხვებსავით
ტუტუა რომ ვიჭკვიანო!
სჯობს, რაცა ვარ, ის ვიყო...
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

—

ისინი პარუმობას
ბოროტად იმკიანო;
მე სიმართლით ნაშოვნი
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

—

ავსუს, რომ ჩვენ ფრანტებსა,
ტროტუარს რომ ჰგვიანო,
ადიდებენ და მე-კი
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

—

ყველანი თვალთ-მაქცობენ,
ქვეყანას სულს ჰხდიანო!
მე არავის ვატყუებ!
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

—

ამ ჩვენ დიდ ვაჟბატონებს,
კუდს რომ უძახიანო,
არ გავუცვლი ჩემ სახელს:
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

—

დეე, შემცხეს-შემცივდეს,
რა ვუყოთ რომ მშიანო!
ჩამოდეგით, მოვდივარ,
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო!

აკაკი

---

## ძველი საერო პოეზიისა

### ქართლის ცხოვრებაში

(წერილი მეოთხე)

თვით პროფ. პატკანოვმა იცნა მეფე ფარნავაზი ისტორიულ კაცად; ჩვენც ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს ჭეშმარიტებაა. ფარნავაზ მეფიდამ იწყება ისტორიული ხანა ჩვენის ერის ცხოვრებისა; მას შემდეგ მატიანეს გარდმოცემა ჰკარგავს მითურს ხასიათს და ჰფუძნდება მტკიცედ დასაბუთებულს ნიადაგზე. წინა დროს-კი ჩვენის ერის ცხოვრებისას, ვიდრე ფარნავაზ მეფემდე, შეგვიძლიან ვუწოდოთ მითური, ანუ გმირული ხანა. ამ გვარის ტერმინის ხმარებას აქვს თავისი საბუთი. „ქართლის ცხ.“ პირვანდელის წინაპრების ამბებს ისე მოგვითხრობს, როგორც გმირებისა და გოლიათების ამბავს; მან არ იცის სხვა ეპიტეტი ჩვენის ეპონიმებისთვის, გარდა გმირისა და გოლიათისა. დასაწყისი „ქარ. ცხ.“ გვაცნობებს, რომ თარგამოსი იყო

„კაცი გ მ ი რ ი“ (გვ. 15); „გამოჩნდნენ შვილნი მისნი კაცნი რვანი გ მ ი რ ნ ი ძლიერნი და სახელოვანნი“ (გვ. 16); „ხოლო ქართლოს მოუწოდა შვიდთავე გ მ ი რ თ ა წინააღმდეგ ნებროთისა, (გვ. 18); „შვილთა ქართლოსისა გამოჩნდნენ ხუთნი გ მ ი რ ნ ი (გვ. 19): მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს, გაჩიოს“. „მხოლოდ შვილთა შორის მცხეთოსისასა გამოჩნდეს სამნი გ მ ი რ ნ ი სახელოვანნი“ (გვ. 20): უფლოს, ოძრხოს, ჯავახოს“.

ჩვენი ისტორია დაიწყო გმირულის ტრადიციით, როგორც დაიწყო ისტორია ბერძენთა, რომაელთა და სხვ.; როგორც საბერძნეთის ისტორიაში არ აკლია მნიშვნელობა ჰერკულესს, თეზევს, აგრეთვე ჩვენთვის ძვირფასნი არიან ცნობანი ქართლოსზე, მის შვილებზე და შვილიშვილებზე. მათის მოგონების მიზეზი ახსნილი იყო, მათი გაზვიადებული და განდიდებული წარმოდგენა ერის ფანტაზიის საქმეა, ჩამომავლობის თავ-დაუჭერელი ქება-დიდებაა. შეიძლება, როგორც საბერძნეთში, ზოგნი ჩვენ მამათ-მთავართ შორის იყვნენ ნამდვილი ისტორიული კაცნი, მხოლოდ შემდეგ გაფეროვნებულნი, დანარჩენნი-კი წარმოადგენენ იდეალს ხორცისა და სულის ძალისას, აქვსთ სიმბოლიური, ან ეტიოლოგიური მნიშვნელობა, როგორც წინად იყო ნათქვამი.

ვიდრე ფარნავაზ და მირიან მეფეთა შესახებ გარდმოცემულ საგნის გარჩევას შევუდგებოდეთ, უადგილო არ იქნება ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა ერის მეხსიერებამ დაიცვას ამბავი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში, გადასცეს შთამომავლობას ისტორიული ამბავი, ფანტაზიით გაზვიადებული და განდიდებული. მკითხველს ეხსომება, რომ პროფ. პატკანოვმა უარ-ჰყო ეს ძალა და სიმტკიცე საერო ტრადიციისა, ფუჭ ამბად აღიარა ჩვენის მატიანეს გარდმოცემა მეთერთმეტე საუკუნემდე. პროფ. პატკანოვს ორი საბუთი ჰქონდა ამ აზრის დასამტკიცებლად: 1) „ქართლის ცხ.“ შედგენილი, იმისის აზრით, მე-XI—XII საუკუნოებში, გადმოგვცემს ამბავს უძველეს დროთა შესახებ, გვაუწყებს ხაზართა შემოსვლის ამბავს, რომელიც მოხდა 2,000 წლით ადრე, ვიდრე მემატიანე სცხოვრებდა; მაშასადამე, ნამდვილს ფაქტს ამ გარდმოცემაში ვერ ვიპოვნით და უნდა ვაღიაროთ მემატიანეს ფანტაზიის ნაყოფადაო. 2) მეორე საბუთი ზოგადის ხასიათისაა. პროფესორი ამტკიცებს, რომ ვითომ ერს არ შეუძლიან დაიცვას 20 საუკუნის განმავლობაში საერო გარდმოცემა, ანუ მარცვალი ისტორიულის ამბისაო.

პატივცემულ პროფესორის წინააღმდეგ შეგვიძლიან ჩვენის მხრივ ორი საბუთი მოვიყვანოთ: 1) „ქართლის ცხოვრება“ არ არის შედგენილი პირველად მე-XI—XII საუკ.; 2) ერის მეხსიერებას შეუძლიან დაიცვას დიდის ხნის განმავლობაში საერო ტრადიცია, წინაპართა შესახებ შესანიშნავი ამბავი და მკრთალი წარმოდგენა მაინც იქონიოს იმათის მოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გულის-ხმიერი მკითხველი „ქართლის ცხოვრებაში“ უყურადღებოდ არ დასტოვებდა შემდეგს ადგილს:

„ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგისადმე (გორგასლანი) აღიწერებოდა ჟ ა მ ი თ ი ჟ ა მ ა დ, ხოლო ვახტანგ მეფისაგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯვანშერ ჯვანშერიანმან, ძმის-წულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან: და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა, ღვთივ განბრძნობილისა“. („ქართლის ცხოვრება“ გვ. 184, ფრანგ. ენაზე გვ. 256).

ეს ადგილი მატიანისა უტყუარად ჰმოწმობს, რომ ის აზრი, ვითომ „ქართლის ცხოვრება“ შედგენილია მე XI—XII სს., მოგონილია და არა ისტორიულის წყაროების შესწავლაზე დამყარებული. ამოწერილი ნაწყვეტი გვარწმუნებს, რომ ჯვანშერამდე ჩვენში ყოფილა ჩვეულებად აღწერა ისტორიულის ამბებისა „ჟამითი ჟამად“, ე. ი. მიღებული ყოფილა საქართველოში ის ფორმა ისტორიულის ნაწერებისა, რომელსაც ვუწოდებთ „Annales“. მოჰყვებოდნენ და ჩამოსთვლიდნენ მეფეთა, წარჩინებულთა, ბუნების მოვლენათა, გამოჩენილ ამბავთა, ტომთა და სოფელთა. ცნობა ამ გვარ ისტორიულ წყაროზედ დაცულია ქართლის ცხოვრებაში; იგი ასახელებს გუჯარს, „რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით“ („ქართლის ცხოვრება“ გვ. 178). ეს ფრიად და ფრიად შესანიშნავი ცნობაა, რომელიც გვაძლევს უფლებას დაუპირდაპიროთ იგი „გუჯარი“ რომაელების „Annales Maximi“-ს, საშუალო საუკუნოების Papstkataloge-ს,

გებული და მოსაზრებული არ არის, თუ რა იყო ამ უბედურების მიზეზი, თუმცა რუსეთის გაზეთებმა ვინ იცის რა არ მოიგონეს და რას არ გადასწვდნენ. ექსპერტებს-კი ჯერ-ჯერობით შემდეგი აქვსთ დადგენილი:

1) შპალები, რელსები, ლიანდაგი და ორთქლ-მავალი მშვენივრად არის გამართული და ამ მხრივ გზას არავითარიმე შიში არ მოელოდა.

2) ის სიჩქარე, რა სიჩქარითაც მატარებელი მიდიოდა, მეტის-მეტი იყო და საშიში, მით უფრო, რომ ორი ორთქლ-მავალი ება მატარებელს.

3) მატარებლის შედგენა სრულიად არ არის კმა საყოფელი და არ ეშსაბამება კანონიერს მოთხოვნილებას.

4) გზათა უწყების სამინისტროს ვაგონი გაუსინჯავთ და გაუჩხრეკიათ მხოლოდ 1886 წლის სექტემბერს, რომლის შესახებაც წარწერა აქვს ამ ვაგონის ნამტვრევს; დანარჩენს ვაგონებს-კი ამ გვარი წარწერა სრულიად არა აქვს.

5) ამ ვაგონის ფერსოების სალტა მეტად გაცვეთილი აღმოჩნდა; ზოგს ალაგას ეს სალტები ჩაკბილულია, ასე რომ შეეძლო რელსი გაეჭრა, ხოლო ჩქარის სიარულის დროს-კი სრულიად გადასცილებოდა ვაგონი ლიანდაგს და ამ გვარად უბედურება დატრიალებინა.

6) უბედურების დროს თვით-მომქმედი ტორმაზი (ალაყი) მხოლოდ სამს ვაგონში ყოფილა წესიერად, დანარჩენს თორმეტს-კი ან სულ არა ჰქონია, ან გაფუჭებული უბედურებამდევე.

7) ორი მატარებელი სხვა-და-სხვა გვარი იყო და ძალიან საუკეთესო გზაზედაც-კი ამის გამო შეაძლებელი იყო რელსები გაბრუნდებულიყო და უბედურება მომხდარიყო.

8) ადგილობრივის მთავრობის ინსპექციას განზრახვა ჰქონდა მატარებელისათვის სახალხო მატარებლის ორი ორთქლ-მავალი შეება და ამიტომ ამ ორს ორთქლ-მატარებელს გაუკეთეს თვით მომქმედი ალაყები, მაგრამ შემდეგ ამ განზრახვაზედ უარი სთქვეს, რადგან მატარებელი მეტად მძიმე იყო და სახალხო მატარებლის ორ ორთქლ-მავალს არ შეეძლო ეტარებინა. ხოლო არ შეეძლოთ საქონლის მატარებლის ორთქლ-მავალნი შეებათ, რადგან ამ ორ ორთქლ-მავალებს თვით-მომქმედი ალაყები არა ჰქონდა გაკეთებული.

ამ ზემოხსენებულის ოქმიდგან შემდეგი საკითხნი იბადება:

1) ვისის განკარგულებით იქმნა შედგენილი ისეთი მძიმე და მეტად საშიში მატარებელი?

2) ვინ მისცა ნება, რომ ემუშავებინათ ისეთი მატარებელი, რომელსაც არავითარიმე ალაყები არა ჰქონდა.

3) ნება ვინ დართო, რომ მატარებელში, სხვათა შორის, შეურიეს გზათა უწყების სამინისტროს ვაგონი, რომელიც მეტად საშიშს მდგომარეობაში იყო?

4) ვისის მიზეზით მოება მატარებელს ორი სხვა-და-სხვა გვარი ორთქლ-მავალი? და

5) პირადად ვისის მიზეზით ებრძანა მემაშინეებს, რომ მატარებლის სიარული აეჩქარებინათ და ჩვეულებრივის სიჩქარისთვის გადაემეტებინათ?

ეს უკანასკნელი საკითხი, ჯერ არ გამორკვეული გამოძიების მიერ, უპირველესი საკითხია თურმე, რადგან მატარებელს ჩვეულებრივის სისწრაფით რომ ევლო, ისეთი დიდი უბედურება არ დატრიალდებოდა.

## უცხოეთი

საფრანგეთი. ამას წინად დეპუტატმა ნუმა ჟილიმ სიტყვა წარმოსთქვა ნიმში და სთქვა, რომ საბიუჯეტო კომისიაში ვილსონები სხედანო, ესე იგი ისეთი კაცები, რომელნიც ღირსნი არ არიან საზოგადოების ნდობისაო. ასეთი ბრალის დადება იწყინა დეპუტატმა ანდრიემ და უჩივლა ჟილის. მაგრამ ჟილი გამოსცხადდა სამართალში და სთქვა, რომ მე ანდრიე არა მყოლია სახეში, როცა ვამბობდი, რომ კომისიის წევრნი ვილსონობენო. თუ გნებავთ დავასახელებ იმათ, ვინც მე სახეში მყავდა და დავამტკიცებ კიდეც ჩემს სიტყვებსაო. სამართალმა ამისი ნება არ მისცა ჟილის. ანდრიემაც, რაკი იმის წინაღმდეგ ჟილიმ არა სთქვა-რა, თავი დაანება და ჟილი გაამართლეს. საბიუჯეტო კომისია ასეთმა ამბავმა არ დაიხსნა, რასაკვირველია; ეხლა ყველა იმას ამბობს, რომ ისინი არ უნდა გაჩუმებულიყვნენ, უნდა თავი გამოედოთ და, როგორც ანდრიემ მოსთხოვა პასუხი ცილის წამებისათვის, ისე იმათაც უნდა მოეთხოვათ ჟილისაგან პასუხიო. ასეთის საქციელის გამო ჩირქი ეცხობათ კომისიის წევრებს და, თუ უნდოდათ გამართლებულიყვნენ ქვეყნის წინაშე, უთუოდ პასუხი უნდა მოეთხოვნათ სამართალში ჟილისათვისაო. არ მოსთხოვეს და მაშ ჟილი მართალი ყოფილა და ისინი მტყუანიო. ამაზე დღეს ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა და ვინ იცის, ამ მითქმა-მოთქმამ იქნება პალატასაც ავნოს რამე.

— 2 ნოემბერს პასტერის ინსტიტუტის დაარსების დღესასწაული იყო და 3 ნოემბერს-კი ფრიად სამწუხარო ალიაქოთი მოხდა დეპუტატთა პალატაში. ნამინისტრალი რუვიე თხოულობდა, რომ ბიუჯეტის გამო კამათობა გადავსდოთ, რადგან საბიუჯეტო კომისიის წევრნი ნიმს უნდა წავიდნენ მოწმეებად ჟილის საქმის თაობაზედ და ჩვენება წარუდგინონ სამართალსაო. ამაზე პირველმა მინისტრმა ფლოკემ სთქვა, რომ მართალია, სამართალს ნება აქვს დეპუტატები მოწმებად დაიბაროს, მაგრამ იმათი წასვლა სავალდებულო არ არისო. პარლამენტი იმ უპირატესობას აწიჭებს დეპუტატს, რომ მან დაუბრკოლებრივ შეასრულოს თავისი უპირველესი მოვალეობა, იშრომოს საკანონ-მდებლო საქმისათვისაო (მემარჯვენენი დაიცინებიან). დეპუტატი სალი აღელვებული ამბობს:

— პირველი მოვალეობა ის არის, რომ თავისი სახელი დაიცვას. რაც უნდა დაადგინოს პალატამ, მე მაინც წავალ ნიმს! (მემარჯვენენი იწონებენ ამ ლაპარაკს, მემარცხენენი ჰღელავენ).

ბოდრი დ'ასსონი. ეტყობათ, უნდა ჩაფარცხონ ჟილის საქმე!

რუვიე (ძრიელ აღელვებული). იქნება თქვენ გნებავთ ბრალდება ჟილისა კერძოდ თქვენ იტვირთოთ?

ამ დროს წამოვარდება კასანიაკი და დაიწყებს დაცინვით ლაპარაკს: ჟილის ბრალდება ისეთია, რომ მოწმეებმა თავი არ უნდა მოარიდონ თავიანთ ჩვენების წარმოდგენასა (მემარჯვენენი ხმაურობენ). მთავრობამ ისეთის კილოთი დაიწყო ლაპარაკი ამ საგანზე, რომ უთუოდ ერთმანეთს ეუაფრებიან წევრნი კომისიისა და მთავრობისანი, ერთმანეთს დაჰპირებია შველასა და მფარველობასაო. შემდეგ კასანიაკმა განაგრძო: მე-კი არა გდებთ ბრალს, თქვენივე დასისაა, რესპუბლიკელი. მარტო რესპუბლიკის დროს შეიძლება მოხდეს, რომ 20 წევრია კომისიაში და ყველანი მოწმად არიან სამართალში დაბარებულნი. მოწმებად-კი იწვევენ, მართალია, მაგრამ ქვეყანა და საზოგადოება-კი სხვაფრივ უცქერის იმათ. (ასტყდა საშინელი ხმაურობა და ყვირილი. დეპუტატი სარიენი უყვირის კასანიაკს: კომისიის წევრნი უნდა წავიდნენ ნიმს, სახელდობრ იმიტომ, რომ პალატას არავითარი ჩირქი არ მოეცხოს!..)

რუვიე დიდად აღელვებული ამბობს: ღირს პატივსაცემმა ჩემზე წინად მოლაპარაკე ორატორმა... (ვითომ კასანიაკმაო.)

ისმის ხმა მარცხნივ: არ უნდა უწოდონ იმას ღირს პატივსაცემი.

კასანიაკი. ვინ გაბედა მაგისი თქმა ჩემზე?

დეპუტატი სალი. მე გავბედე.

კასანიაკმა იმ წუთსვე სეკუნდანტები გაუგზავნა სალის.

რუვიე გაცხარებით უარ-ჰყოფს იმ ბრალსა, რომელსაც სდებენ ან იმასა და ან სხვა წევრთ კომისიისას. მე მთავრობასთან არავითარი სამარცხვინო საქმე არ დამიჭერია და აგერ 25 წელიწადია ვემსახურები რესპუბლიკასაო. ხშირად მჭერია დიდი თანამდებობა, მაგრამ მაინც ისევ ის ღარიბი კაცი ვარო (შუაგულის დასისანი დიდად იწონებენ ამ ლაპარაკს).

მერე კიდევ ასტყდა დიდი ალიაქოთი. პალატის თავ-მჯდომარემ ველარა გზით ველარ დააშოშმინა კრება. პალატამ მაინც დაამტკიცა, რომ, როგორც განზრახვა გვქონდა, ისევ ისე შევუდგეთ მორიგ საქმეთა განხილვასაო.

დუელები არ მომხდარა, რადგან სეკუნდანტებმა გაარჩიეს საქმე და, რაკი ერთმანეთში მოლაპარაკება ჩამოვარდა, ყველანი დაკმაყოფილ იქმნენ ამ მოლაპარაკებით.

## დეპეშა

15 ნოემბერი

ბერლინი. გერმანიის იმპერატორი ნადირობის დროს გაცივდა და ამიტომ სახლიდგან არ გამოდის.

შვეიცარიის პრეზიდენტი გერტენშტეინი გარდაიცვალა ამპუტაციის შემდეგ.

16 ნოემბერი

პეტერბურგი. „Journal de St.-Petersbourg“-ი სესხის შესახებ ამბობს, რომ იგი გამოწვეულია არა სამ-

---

ამ „გუჯრის“ გარდა, რომელიც ხრონოგრაფს ჰგავდა, ჯვანშერ ჯვანშერიანს ჰქონდა უცხო მწერალთა ნაწერები (იხ. გვ. 173 „ქართ. ცხ.“) და ძველის ამბების მცოდნე კაცთაგან შეკრებილნი გარდმოცემანი თავისის მატიანეს შესადგენად. ძვირფას წყაროდ უნდა ჩავთვალოთ, რომ დარჩენილა ხალხში ქებანი და გლოვანი, მიცვალებულთა მეფეთა და მოღვაწეთა სახსოვრად შედგენილნი. ამ გლოვაში, რომელსაც რომაელნი უწოდებენ neniae-ს და რომელიც ალიარებულ იქმნა ისტორიულ წყაროდ, მოკლედ მოგვითხრობს მგოსანი ისტორიულ კაცთა მოქმედებას, ხასიათს და სამსახურს მამულისა და ერისადმი. „ქარ. ცხოვრებაშიაც“ არის ერთი იმ გვარი ადგილი, სადაც დასახელებულნი არიან «მგოსანნი გლოვისანი». სჩანს გლოვა ლექსად იყო ნათქვამი, როგორც neniae და ამით ადვილდებოდა მის დახსომება და შთამომავლობისთვის შეუცვლელად გარდაცემა. ფარსმან ქველი, მოკლული ომის დროს ღალატით, გახდა საგნად გლოვისა მგოსანთა მიერ, რომელთა გოდება ჩაწერილია „ქარ. ცხოვრებაში“:

> „ვაი ჩვენდა, რამეთუ მოგვძინა სხვემან ზორობტმან და მეფე ჩვენი, რომლისაგან ხსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა კაცთა მგრძნებელთაგან და აწ მივეცით ჩვენ წარტყვევნად ნათესავთა უცხოთა“.

მემატიანე უმატებს, რომ მგოსანნი „ქალაქთა და დაბნებთა“ ახსენებდნენ „სიმხნესა და სიქველესა, სიმშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისას“ („ქ. ცხ.“ გვ. 53). ეს გლოვა მემატიანეს პროზად გადაუღია, თუმცა მის შინაარსისთვის არაფერი არ მოუმატებია. ამ გვარად ექცეოდნენ საშუალო საუკუნოების მწერლები საერო პოეზიას, რომაელნი—ძველს ლექსად თქმულს ისტორიულ ამბებს. ნამდვილია მხოლოდ, რომ „ქარ. ცხოვრებას“ დაუცავს neniae, მგოსანთა გლოვანი. გლოვაში მოთხრობილია მეფის თვისებანი, მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. პირველმა მემატიანემ არ დასტოვა უყურადღებოდ ეს გლოვა და ჩასწერა დასაცველად. ამ მგოსანთა გლოვას აქვს სრული უფლება დაიჭიროს ადგილი საერო პოეზიის სფეროში, როგორც ნაყოფს ერის წარმომადგენელის აზრისა და შეხედულებისას წარსულში.

VIII საუკუნეში ჯვანშერ ჯვანშერიანმა შეადგინა პირველი კომპილაცია, პირველი ისტორია, დამყარებული საერო გარდმოცემაზე და ნაწერ ცნობებზე. მეხუთე საუკუნემდე „ქარ. ცხ.“ იწერებოდა „ჟამითი ჟამად“, მერვე საუკუნეში ეს შრომა გამოიყენა ჯვანშერიანმა. ანტონ კათალიკოზი თავისს მარტირიკაში მიაწერს ამ ჯვანშერიანს ცხოვრების აღწერას წმ. მეფე არჩილისას. ჯვანშერიანი იყო ჩამომავალი გამოჩენილის სპასპეტისა ჯვანშერისა ვახტანგ გორგასლანის დროს. მის ოჯახში დარჩენილი იქნებოდა ძველი ამბები, ცნობანი მეფეთა და წინაპართა შესახებნი. შეიძლება ჯვანშერიანმა პირველად მოისურვა საგვარეულო ისტორიის წერა გავლენიანის სპასალარის ჯვანშერის სასახელოდ; ასე იქცეოდნენ ხშირად ძველი მწერლები. რა-კი შეუდგა ისტორიულს შრომას, ჯვანშერმა გამოიყენა «გუჯარი», უცხოთა ნაწერები, საგვარეულო ტრადიცია, ერის გარდმოცემანი და მოხუცთა მოგონებანი. ჯვანშერი სახელოვანი კაცი იყო სახელმწიფოში; იგი იყო სიძე არჩილ მეფისა, ჩამომავალი რევისა და მირიან მეფეთა. მაშასადამე, ჰქონდა საშუალება ეჩხრიკა ყველა ძველის-ძველი ნაწერები, თუ მოიპოვებოდნენ სადმე, და შეეძლო დაეხმარებინა ისინიც, ვინც ან იცოდა, ან ახსოვდა რამე. თვითონ განათლებული კაცი ყოფილა, როგორც სჩანს. ჯვანშერიანი ხშირად მიგვითითებს სხვა-და-სხვა ისტორიულ წყაროებზე. ხელ-შეწყობილი ყოველის მხრით სწერს ვახტანგ მეფიდამ ვიდრე იოანემდე (V—VIII სს.) თავისს საკუთარს წიგნს წინა დროთა შესახებ, იშველიებს იმ ნაწერებს, რომელთაც „ჟამითი ჟამად“ სწერდნენ და საერო ტრადიციას. ამ გვარად იქცევა ფაბი პიქტორიც, პირველი რომაელთა ისტორიკოსი. იგი სწერს მე-VI საუკუნეში რომის გაშენებიდამ, იშველიებს ანნალებსა და ტრადიციას. ტიტე ლივიუსმა მისი ნაწერები თავისს ნაწერებში ჩაურთო, კრიტიკამ კიდევ გაარჩია ეს საგანი და დაამტკიცა, თუმცა თვით პიქტორის დედანი სამუდამოდ დაკარგულია. ჩვენშიაც, შეიძლება, შემდეგმა ისტორიკოსმა ჩაურთო ჯვანშერის კომპილაცია თავისს ნაწერში, რადგანაც ჩვეულებად ჰქონდათ თავის დროთა აღმწერლებს წინა დროს შესახებ გადმოეწერათ ძველი ნაწერი და შემდეგ მიემატებინათ თავიანთი. ასე იყო სულ ყველგან და ამასვე ჰმოწმობს ჯვანშერის მიერ დაწერილი ადგილი „ქართ. ცხოვრებისა“.

თუ ეს მართალია, რომ მეთერთმეტე საუკუნეში-კი არა, მე-VIII საუკუნიდამ გვაქვს პირველი კომპილაცია, „გუჯარიც“ რომ არ მივიღოთ მხედველებაში, პროფ. პატკანოვის აზრს მაინც ფრთა ეკვეცება. გუჯარში და ჯვანშერის კომპილაციაში დარჩენილი არის მტკიცე ისტორიული ამბავი და მისი განგებ მოგონება და შეთხუზვა მე-XII ს. არ იყო საჭირო.

მეორე საბუთი პროფ. პატკანოვისა, რომ ერი ვერ დაიცავს 2000 წლის განმავლობაში ისტორიულს ტრადიციასაო, აწ ადვილია შესარყევად. პირველად, მისს ანგარიშს აკლდება შვიდი საუკუნე, რადგანაც მეხუთე საუკუნედამ ჯვანშერი გადმოგვცემს მოთხრობას წარსულ დროთა. პროფესორი „ქართლის ცხოვრების“ შედგენას მიაწერდა მე-XII ს. მაშინ, როდესაც ცნობა გვაქვს, რომ არსებობდა მეხუთე საუკუნეში და 700 წლით ადრე მოხსენებულია კიდევ სხვა ისტორიული ნაწერი. გარდა ამისა დიდის ეჭვის ალება ერის ხსოვნის გამოც უადგილოა. პროფ. პატკანოვის აზრი გვაგონებს ლიუსის თეორიას რომის ისტორიის შესახებ. იგი ამბობდა, რომ 100 წელზე მეტს ხანს ვერ დაიცავს ერი ისტორიულს ტრადიციასაო. აწ ისტორიულ ნაწერთა გამოკვლევამ დაარწმუნა მეცნიერნი, რომ ეს ვადა ფრიად მოკლეა. ძიებამა და გამოკვლევამ საქსონ გრამმატიკისამ, კოსმა პრაგელისამ, პოტფრიდ მონმუტისამ და სხვათამან ნათლად ახსნა, რომ 10—15 საუკ. ისტორია, დარჩენილი ეპოსად, გამხდარა ძვირფას მასალად დასახელებულ ისტორიკოსთათვის. ჩვენშიაც, ეჭვი არ არის, იყო ეპოსი, ჩვენშიაც გამოიყენა ჯვანშერიანმა ის მასალა. ჩვენს ერს ყოველთვის დიდი ნიჭი გამოუჩენია ლექსების თქმაში და, მაშასადამე, უადგილოა ეჭვი და უარ-ყოფა საერო პოეზიისა და ტრადიციისა „ქარ. ცხოვრებაში“.

ა. ხ.

მოსკოვი

ხელრო განზრახვით და ან დეფიციტების შესავსებლად, არამედ საეკონომიო მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვისაო: ერთი ისა, რომ ყოველ წლივ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში შეინახება 483,000 მეტალიური მანეთი, აგრეთვე ხელი მოემართება ვაჭრობასა და მრეწველობას, როცა საჭირო იქნება ქაღალდის ფულის გამ-ცვლა. თუ ის თხუთმეტი მილიონი მანეთი, რომელიც 1888 წელში გამოიცა, გაუქმებულ იქნება, სამაგიეროდ ზაფხულის 1889 წელს გამოიცემა იმავე აზრით 75 მილიონი. ამას გარდა ბრძანებიდგან სჩანს, რომ საქმე ეხება კონვერსიის სისტემას სახელმწიფო ვალებისას.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ნოემბ.

| | მოლაპარაკ. | გამყიდვ-ლისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 78 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 156¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 18 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 271½ |
| —მეორისა . . . . . | 245 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწად ია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

17 დღე ხუთშაბათი. წმ. ეპ. გრიგოლისა, წამ. გობრონისა, კახეთის თავადიშვილისა, და 133 მეომარისა 920 წ. კათოლ. ეპ. გრიგოლ საკვირ-მომქმედისა. სომეხ. აბრამისა, ხორენისა და სხ. მაჰმად. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31. მთვარე 26 დღისაა.

18 დღე პარასკევი. მოწ. პლატონისა, რომანისა და ზაქესისა. კათოლ. მაქსიმესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-26 რიცხვი რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 5—31. მთვარე 27 დღისაა.

19 დღე შაბათი. წინასწარმეტყ. ავდიასი, ილიას მოწამისა. კათოლ. დედოფ. ელისაბედისა. სომეხ. ყველა წმიდათა. მაჰმად. მე-27 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 4—31. მთვარე 28 დღისაა.

20 დღე კვირა. გრიგოლისა და ანატოლისა. კათოლ. ფელიქსესი. სომეხ. ნახატონაქი. მაჰმად. მე-28 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 4—30. მთვარე 29 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2 — 4 „
„ „ 3 „ 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4
მე-3 — . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . 8 „
„ 2 „ 7 „

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

## განცხადებანი


4711 О-ДЕ-КОЛОНЪ

ყველაზედ საუკეთესო ღირსებისაა.

მსურველს შეუძლიან იყიდოს რუსეთის ყველა დიდ საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში. (2—1)

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის სამართველოში და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ

დედებმა

მუძუ-მწოვარ ყმაწვილებს.

ფასი ერთი შაური.

(5—1)

სალიანის თევზეულობის დუქანი, რომელიც იყო პუშკინის ქუჩაზედ, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ,

გადავიდა

იმავე ქარვასლის ჩრდილოეთის მხრისკენ, სკვერის პირდაპირ, ქიმში, სადაც კანტორა იყო ალელოვისა.

ყოველ დღე დილის მატარებლით მოუვიდის ახალ-ახალი თართი, ორაგული და ხიზილალა პარკისა და ბოჩკისა. ყოველ დღე ეხარშაეთ დოშს. (4—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | „ 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესხიაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დიმბაშიძისა . . . . . . | „ 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . | „ 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | „ 35 |

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—5)

დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 до 110.


Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე